ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №264839

ნომერი: AR161085

თარიღი : 24.06.2012

გაცემის თარიღი : 16.07.2012

გაცნობის თარიღი : 17.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , მიონის მოპირდაპირე მხარეს ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი თათულაშვილი პ/ნ 01024004177
- თბილისი ვაშლიჯვარი კორ. 13ა ბ. 34

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს საგა იმპექსი კოდი: 205185235

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის23 მარტის#102504 გადაწყვეტილებით გამოცემულ მიწისნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 24 ივნისს #AR161085 განცხადებით მომართა მოქ. გიორგი თათულაშვილმა და მოითხოვა 2012 წლის 23 მარტის #102504 გადაწყვეტილებით გამოცემულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა სამშენებლო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდისა და ფართობის ცვლილების გამო.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ზემოათნშნული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები გაცემული იქნა ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, მიონის მოპირდაპირე მხარეს (ნაკვეთი #003/035) მდებარე 2665 კვ.მ. მიწის ნკავეთზე დამხმარე ფუნქციით (სასაწყობე და საოფისე) სავაჭრო–საგამოფენო დარბაზის ასაშენებლად. საპროექტო მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონა არის სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2), რომელშიც "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" 2009 წლის 27 მარტის #4-13 ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების დანართის თანახმად შესაძლებელია განტავსდეს სავაჭრო – საგამოფენო პავილიონი დამხმარე (სასაწყობე და საოფისე) ფუნქციით. აღნიშნულ სამშენებლო ობიექტზე გამოცემული იქნა სპეციალური ზონალური შეთანხმება ქ. თბილისის მერის 2012 წლის 05 მარტის #867 განკარგულებით, რომლითაც საპროექტო მიწის ნაკვეთისათვის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა: კ1=0.2. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად ირკვევა, რომ დღეის მდგომარეობით შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, რომელიც შედგენს 3104 კვ.მ.–ს და საკადასტრო კოდია: #01.13.02.003.095. აღნშნულ საკადასტრო ერთეულზე მოქმედებს იგივე ფუნქციური ზონა, რომელზეც გამოცემული იქნა ქ. თბილისის მერის 2012 წლის 04 ივლისის #1771 განკარგულება და სამშენებლო მიწის ნაკვეთისათვის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა შემდეგი სახით: კ1=0.5.

ყოველივე აღნშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან სამშენებლო მიწის ნაკვეთის სხვა ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები უცვლელი რჩება, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2012 წლის 23 მარტის #102504 გადაწყვეტილებით გამოცემულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 23 მარტის #102504 გადაწყვეტილებით გამოცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 3104 კვ.მ., საკადასტრო კოდად მიეთითოს: #01.13.02.003.095. და მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვროს – კ1=0.5;
2. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 23 მარტის #102504 გადაწყვეტილებით გაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.